ხელშეკრულება N01.641.01

ქ. თბილისი **„29“ დეკემბერი, 2023 წელი**

ერთის მხრივ **შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები”,** Federal Express Corporation-ის და “TNT”-ის წარმომადგენლობა საქართველოში, მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ. #25, ტელეფონი: 291-02-20; მისი გენერალური დირექტორის **ნინო მენთეშაშვილის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”), და მეორეს მხრივ, **შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“,** მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა; ტელეფონი: 598 993 990; მისი დირექტორის მოადგილის **ირაკლი ბერეკაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა (გამარტივებული შესყიდვა) და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციის სამმართველოს **2023 წლის 04 დეკემბრის N3556867** პატაკის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: **საფოსტო-საკურიერო მომსახურეობის შესყიდვა** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვების ობიექტი და მიწოდების გრაფიკი

2.1. მიმწოდებელი, ხელშეკრულების შესაბამისად, კისრულობს შემსყიდველისათვის შეასრულოს შეკვეთა, რომელიც ითვალისწინებს კურიერულ მომსახურეობას, დოკუმენტებისა და ამანათების გაგზავნას იმ ვადების, ტარიფების და პირობების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია ამ ხელშეკრულებით და არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.** მომსახურების გაწევის ვადაა **2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

4.3. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება, მომსახურების თითოეული სახეობის მიხედვით, განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

4.4. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მიერ ანგარიშფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.5. ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს **6000.00** (ექვსი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.6. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.7. დაფინანსების წყარო: **2024 წლის საკუთარი შემოსავალი.**

5. გასაწევი მომსახურების ხარისხი

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს **2 (ორი)** სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

6.1.2. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, საკურიერო მომსახურების შეკვეთა მიიღოს შემსყიდველის მისამართზე სამუშაო დღეებში 10:00-17:30 სთ-მდე პერიოდში. შემსყიდველის მოთხოვნიდან იმავე სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა თუ მიმწოდებელს ერთი კალენდარული დღის განმავლობაში შეკვეთა უკვე მიღებული აქვს.

6.1.3. შეკვეთის მიღებიდან ელექტრონულ პორტალზე ასახოს შეკვეთის შესახებ ინფორმაცია ადრესატის საცხოვრებელი ტერიტორიის მიხედვით: ქ. თბილისის შემთხვევაში - 2 (ორი) სამუშაო დღე, საქართველოს სხვა ტერიტორიის შემთხვევაში 3 (სამი) სამუშაო დღის, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში - 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.1.4. შესაბამისი თარიღის მითითებით გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტატუსი ასახოს ელექტრონულ პორტალზე არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა, ხოლო გზავნილი არაუგვიანეს 5 (ხუთი)სამუშაო დღისა დააბრუნოს შემსყიდველის მისამართზე.

6.1.5. შემსყიდველის მისამართზე დაბრუნებული გზავნილის(ების) შესახებ ინფორმაცია მაიდენტიფიცირებელი ნომრის(ების) მითითებით გაფორმდეს წერილობით, 3(სამი) ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

6.1.6. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული პირდაპირი ზიანი;

6.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით და „მომხმარებლის სახლმძღვანელოთი“ განსაზღვრული პირობები.

6.1.8. „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ ან/და „ადგილობრივი ამანათის პირობები“ დანართის სახით არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. ხოლო „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ ან/და „ადგილობრივი ამანათის პირობებში“ განხორციელებული ყველა ცვლილება წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან წერილობით.

6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.2.2. მოთხოვოს დამკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მისთვის მიყენებული პირდაპირი ზიანის ანაზღაურება;

6.2.3. უარი განაცხადოს საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევაზე, ან/და საფოსტო გზავნილის მიღებაზე, თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულებაში ან/და „მომხმარებლის სახელმძღვანელოში “ მითითებული პირობები.

6.2.4. ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს მომსახურების გაწევა, თუ დამკვეთის მიერ დარღვეულია ანგარიშსწორების ვადა.

6.2.5. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება დამკვეთისათვის წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

7. მომსახურების სპეციალური პირობები და პროცედურები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთის მიერ საფოსტო გზავნილების შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება დამკვეთის მისამართზე, ამასთან კურიერის ვიზიტი დამკვეთის მისამართზე ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება მხოლოდ ერთხელ, გარდა დამკვეთის მიერ ადგილობრივი ექსპრეს მომსახურებებით - „წერილი 12/12“ და მცირე პაკეტი 12/12“ სარგებლობის შემთხვევებისა.

7.2. კორესპონდენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმწოდებლის მხრიდან ადრესატისთვის ხორციელდება დამატებით ტელეფონზე კომუნიკაციით (მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ზარის განხორციელებით) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7.3. ადგილობრივი წერილობითი კორესპოდენციის ადრესატისათვის ჩაბარება, რომელთა წონაც არ აღემატება 500 გრამს, ხორციელდება ადრესატის მისამართზე.

7.4. ადგილობრივი წერილობითი კორესპოდენციის ადრესატისათვის ჩაბარება, რომელის წონაც აღემატება 500 გრამს, ხორციელდება მხოლოდ ადრესატის მისამართის მომსახურე სერვისცენტრში, გარდა დამკვეთის მიერ დამატებითი სერვისით, - „გზავნილის ჩაბარება ადრესატის მისამართზე კურიერის საშუალებით“ სარგებლობის შემთხვევისა.

7.5. ადგილობრივი ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება, ხორციელდება მხოლოდ ადრესატის მისამართის მომსახურე სერვისცენტრში, გარდა დამკვეთის მიერ დამატებითი სერვისით, - „გზავნილის ჩაბარება ადრესატის მისამართზე კურიერის საშუალებით“ სარგებლობის შემთხვევისა.

7.6. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება ჯარიმა.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს დააკისროს ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

თითოეული კორესპონდენციის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამ კორესპონდენციის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

8.5. ჯარიმით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის **0,5 %**-ის ოდენობით.

8.7. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.8. მოთხოვოს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

9.1. ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.

9.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს ჯარიმის გამოყენებას.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი)სამუშაო დღისა, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

9.5. მიმწოდებლის მიერ ინფორმაცია დაუძლეველი ძალის დადგომის შესახებ გამოქვეყნდება შემსრულებლის ვებ გვერდზე.

9.6. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

9.7. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.

11. ღირებულება

11.1. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

11.2. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობის წესი

12.1. მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი სახის ცვლილება წარმოადგენს შეთანხმების საგანს და არის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ამასთან, ხელშეკრულების ძირითად პირობებს ნებისმიერ მის შემადგენელ ნაწილთან (დანართთან, შეთანხმებებთან და სხვ) აქვს უპირატესი ძალა და კოლიზიის შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების პირობები.

12.2. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

12.3. ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: **ნინო მენთეშაშვილი** ტელეფონის ნომერი: **(+995 32) 9102220 ;** ელექტრონული ფოსტა: tako@icsgeorgia.ge ;

„ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: **ნათია უჯმაჯურიძე** ტელეფონის ნომერი: **597 77 25 25, (+995 32) 41 18 21;** ელექტრონული ფოსტა: **n.ujmajuridze@mia.gov.ge;**

12.4. ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

12.5. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

13.6. ამ მუხლის 13.1 და 13.5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. დასკვნითი დებულებები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
16.5. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
16.6. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და წერილობითი ფორმით შეთანხმების შესაბამისად.
16.7. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.
16.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეთა მიერ დამოწმებულია ელექტრონულად კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

მიმწოდებელი:
შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები"

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი #25;
ს/კ 204885810
საბანკო რეკვიზიტები: სს"თი-ბი-სი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ანგ/ნ: GE47TB0600000022467240

გენერალური დირექტორი:

ნინო მენთეშაშვილი

Information Communications Systems LLC
Digitally signed by Information Communications Systems LLC
Date: 2023.12.29 12:50:16 +04'00'

შემსყიდველი:
შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"
მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა
ს/კ 205390487
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ #TRESGE22

დირექტორის მოადგილე:

ირაკლი ბერეკაშვილი

Irakli Berekashvili 01031004275
Digitally signed by Irakli Berekashvili
Date: 2023.12.29 12:12:16

დანართი N1

N	გზავნილის დასახელება	მომსახურების გაწევის ადგილი	გზავნილის წონა (გრ-ში)	ერთეულის ღირებულება
1	ადგილობრივი გზავნილი	თბილისი	0 - 250 გრ.	7
		აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო	0 - 250 გრ.	7
		თბილისი	0,250 გრ. - 2000 გრ.	7
		აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო	0,250 გრ. - 2000 გრ.	7
2	სასწრაფო გზავნილი	თბილისი	0 - 250 გრ.	10
		აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო	0 - 250 გრ.	10
		თბილისი	0,250 გრ. - 2000 გრ.	10
		აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო	0,250 გრ. - 2000 გრ.	10
3	საერთაშორისო გზავნილი	დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპა	0 - 250 გრ.	242
			0,250 გრ. - 2000 გრ.	452
		უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი	0 - 250 გრ.	242
			0,250 გრ. - 2000 გრ.	452
		დანარჩენი ქვეყნები	0 - 250 გრ.	315
			0,250 გრ. - 2000გ რ.	524
4	საერთაშორისო გზავნილი სასწრაფო	დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპა	0 - 250გრ.	242
			0,251გრ. - 2000გრ.	452
		უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი	0 - 250გრ.	242
			0,251გრ. - 2000გრ.	452
		დანარჩენი ქვეყნები	0 - 250გრ.	315
			0,251გრ. - 2000გრ.	524